



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 48

03/04/2017

48-03-4-201704031229



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოვალეობების
შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ამავე კოდექსის 156-ე მუხლის მე-5 ნაწილის, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს № 1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის და ამავე საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს N86 განკარგულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 2017 წლის მარტის თვეში მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდეს (საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს ფრაქციის სხდომებში, დროებით სამუშაო ჯგუფებში მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე, ამომრჩეველთან გასვლითი შეხვედრებისათვის და ადმინისტრაციული შენობაში მოქალაქეთა მიღებისთვის,) დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

2. დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა